

2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან გარე მობილობის შესახებ

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე (www.students.ege.ge) რეგისტრაციის შემდეგ (2019 წლის 17 იანვრიდან 01 თებერვლის ჩათვლით) განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2019 წლის 6 თებერვლიდან 11 თებერვლის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10⁰⁰ საათიდან 16⁰⁰ საათამდე შაბათ-კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, III სართული, ოთახი N350);

მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).
4. პირად საქმეში არსებული დოკუმენტების დამოწმებული ასლები:
 - 4.1. პირველადი ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
 - 4.2. პირად საქმეში არსებული ყველა ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
 - 4.3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
 - 4.4.
 - საბაკალავრო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველმა სრული ზოგადი განათლების ატესტატის ასლი;
 - სამაგისტრო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველმა ბაკალავრის დიპლომის ასლი
 - სადოქტორო პროგრამაზე გადმოსვლის მსურველმა მაგისტრის დიპლომის ასლი.

შენიშვნა: დოქტორანტურაში მობილობის წესით მსურველთა ჩარიცხვა ხდება სტუ–ის დოქტორანტურის დებულების მე–11 მუხლის შესაბამისად საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.

- მობილობის მსურველი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს განცხადებით და საჭირო თანდართული დოკუმენტაციით, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე/პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.
- მობილობის მსურველმა, რომელიც გაეცნობა შედარების აქტს და წერილობით თანხმობას განაცხადებს სტუ–ში მობილობით გადმოსვლაზე ადმინისტრაციული და ფინანსური ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა წარმოადგინოს ერთი წლის სწავლის საფასურის, მინიმუმ 1/2-ის (1125ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- საბუთები მიიღება პირადად განმცხადებელისგან, ან მისი ნდობით აღჭურვილი პირისაგან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის წარმოდგენის შემთხვევაში.